

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2020 წლის 22 იანვარი

ქ. ლაგოდეხი

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 დეკემბრის №21 დადგენილებაში.(www.matsne.gov.ge, 10/12/2019, 010250050.35.167.016453).

მუხლი 2

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესი დანართის შესაბამისად.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესი“.

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში რეგისტრაციის ადგილის შესახებ.“.

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ჯილდო გაიცემა მხოლოდ 2020 წლის 1 იანვრიდან მიღწეული წარმატებებისათვის იმ სპორტსმენტებზე, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ფედერაციების მიერ გაცემულ ტიტულის დამადასტურებელ დოკუმენტს.“.

6. დადგენილებით დამტკიცებულ დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 მუხლი:

„მუხლი 6

ჯილდოს გაცემის დაფინანსება მოხდება ლაგოდების მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების“ პროგრამიდან.“.

მუხლი 3



დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

